აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №16

14/11/2020 წელი **ქ. ბათუმი**
12⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, სოფიო კახაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე, მარიამ გუგუნავა, ირაკლი გვარამია, კობა გაბაიძე, რამაზ ფირცხალაიშვილი და კახაბერ ჯაიანი.

არ ესწრებოდნენ: დავით ჯინჯოლავა და დავით ქარცივაძე.

აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის, საარჩევნო სუბიექტების და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამება;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების შეჯამება;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ;

4. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების გამოყენების შესახებ;

5. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ;

6. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ;

7. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 10 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამება;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების შეჯამება;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ;

4. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების გამოყენების შესახებ;

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ;

6. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, აღნიშნა, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან განსხვავებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში არცერთი საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი პროპორციული და მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმები არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უსკო უფლებამოსილია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე არჩევნების დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა შეაჯამოს 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები და მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგები, ასევე დანიშნოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნების მეორე ტური და დაადგინოს შემდგომი პროცედურები რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით მეორე ტურის არჩევნების ჩატარებისათვის.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯაიანმა და პარმენ ჯალაღონიამ.

კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ არჩევნები როგორც აჭარაში ასევე საქართველოს მასშტაბით დარღვევებით ჩატარდა, მისი განცხადებით დაკარგულია დიდი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები, ასევე გაბათილებულია დაახლოებით 5500-დან 6000-მდე ბიულეტენი, ბიულეტენების დიდი ნაწილი საუბნო კომისიების მიერ გაბათილებულია არასწორად, დაახლოებით შემაჯამებელი ოქმების 50%-ს თან ახლავს შესწორების ოქმი, ზოგიერთმა საუბნო საარჩევნო კომისიამ არაერთი არამედ სამი შესწორების ოქმიც კი შეადგინა, საარჩევნო ოლქებში შესული იყო ძალიან დიდი რაოდენობის საჩივრები, როგორც საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებისაგან ასევე რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის დღეს არსებულ დარღვევებზე,

საოლქო საარჩევნო კომისიებმა არცკი განიხილეს რეგისტრირებული საჩივრები ისე გააკეთეს შესწორების ოქმები. მისი განცხადებით საარჩევნო კომისიებიდან აძევებდენ განსხვავებული აზრის მქონე რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ასევე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებს, მათ შორის საარჩევნო კომისიიდან გაძევებული იქნა თავადაც. კახაბერ ჯაიანმა ასევე აღნიშნა, რომ აჭარაში დაახლოებით 10-დან 12 საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმებში ბიულეტენების რაოდენობა მეტი აღმოჩნდა, №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში შესული საჩივრები კომისიამ ისე განიხილა არციკი შესულა არსებით განხილვაში, შეჯამებული ოქმების დიდ ნაწილში არ ჯდება ბალანსი, არაერთ ოქმს თან ახლავს კომისიის მდივნის/წევრის ახსნა-განმარტება. მისი განცხადებით №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიამ მხოლოდ ერთი №19 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების გახსნის გადაწყვეტილება მიიღო, იქ სადაც ოპოზიციას ჰქონდა გამარჯვებული და სასამართლოს დავალებით №85 საარჩევნო უბანი, გახსნილ ბიულეტენებს საოლქო საარჩევნო კომისია ითვლიდა მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით არსებული ბიულეტენების რაოდენობის მიხედვით, არ გაკეთებულა განმარტება თუ რა რაოდენობის ხმები იყო ბათილი და ვისი ბიულეტენი იყო ვის შეკვრაში და ა.შ. მისი განცხადებით №81.29 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგები 22-მა ხმამ გადაწყვიტა, გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარ კანდიდატს ძალიან დიდი რაოდენობის ხმები არასწორად გაუბათილეს რაც მიუთითებს მთლიანობაში არჩევნების დარღვევებით ჩატარებაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრმა, კახაბერ ჯაიანმა, დატოვა სხდომათა დარბაზი (12:20 სთ-ზე.)

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ სურდა კახაბერ ჯაიანისათვის აეხსნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, შესწორების ოქმი დგება იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო კომისია ოქმის შევსებისას რაიმე სახის

შეცდომას დაუშვებს, რომლითაც უნდა გასწორდეს დაშვებული ტექნიკური შეცდომა, თუმცა სამწუხაროდ მან დატოვა სხდომა. ასევე კომისიას და დამსწრე საზოგადოებას გააცნო უმაღლესი საბჭოს 2004 - 2020 წლების უმაღლესი საბჭოს არჩევნების გაბათილებული ბიულეტენების სტატისტიკა *(2020 წლის არჩევნები 3.3%, 2016 წლის არჩევნების 4%, 2012 წლის არჩევნები 3.1% და 2008 წლის არჩევნები 4.5%).* პარმენ ჯალაღონიამ ასევე აღნიშნა, რომ არამარტო თვითონ არამედ ყველა კომისიის წევრი თანხმდება იმის შესახებ, რომ იყო პროცედურული დარღვევები, აგრეთვე აღნიშნა, რომ როგორც ადგილობრივმა ასევე უცხოურმა დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა გააკეთეს განცხადებები და აღნიშნეს, რომ მიუხედავად დარღვევებისა არჩევნების არალეგიტიმურად ცნობის საფუძველი არ არსებობს, მათი განცხადებით არჩევნებში დაცული იყო ყველა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამება.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის მდივანს სოფიო კახაძეს სთხოვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემების კომისიის წევრებისა და დამსწრე საზოგადოებისთვის გაცნობა.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემები.

- ✓ **პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა:** **186 863**
- ✓ **ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა:** **5 352**
- ✓ **საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობები:**

№	პარტიის/ბლოკის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%

2	„ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“	5 146	2.85
3	„ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა“	1 876	1.04
4	„დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“	423	0.23
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	61 242	33.96
8	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	5 923	3.28
10	„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	1 325	0.73
14	„ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“	401	0.22
17	„ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“	365	0.2
19	„ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“	1 457	0.81
21	„თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“	509	0.28
24	„ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“	1 459	0.81
26	ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“	234	0.13
27	„გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“	5 982	3.32
31	„თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“	183	0.1
34	„სოციალური სამართლიანობისათვის“	288	0.16
36	„გირჩი“	3 004	1.67
41	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	82 700	45.86
44	„ქართული იდეა“	938	0.52
47	„ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“	387	0.21
55	„ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“	556	0.31
56	„ლელო-მამუკა ხაზარაძე“	5 494	3.05
61	„ბაგრატიონი - სახე+“	438	0.24

- ✓ ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა: 180 330

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ, უსკოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას ასევე გააცნო პროპორციული წესით არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრთა ანბანური სია.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ და კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ ხელი მოაწერეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

(პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული
არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი თან ერთვის)

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების შეჯამება.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის მდივანს სოფიო კახაძეს სთხოვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემების კომისიის წევრებისა და დამსწრე საზოგადოებისთვის გაცნობა.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივანმა, კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემები.

- ✓ **ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 314 889**

- ✓ **ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა ყოველ საარჩევნო ოლქში:**

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №	ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა	ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა
28	147 292	81 373	3 052
29	70 837	43 375	1 531
30	96 760	62 115	2 584

- ✓ **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულია:**

ოლქის ნომერი	გვარი და სახელი	წარმდგენი	მიღებული ხმების რაოდენობა	%
29	ანანიძე ცოტნე	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	20 809	50.05

✓ **არჩევნების მეორე ტურში გასული კანდიდატები**

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №	**არჩევნების მეორე ტურის გამართვის თარიღი**	**არჩევნების მეორე ტურში გასულ კანდიდატთა ვინაობა**	**მიღებული ხმების რაოდენობა**	**%**
28	21. 11. 2020	5. გიორგი კირთაძე	26 599	34.46
		41. ტიტე არუშიძე	32 332	41.89
30	21. 11. 2020	5. გია აბულაძე	19 044	32.12
		41. ფრიდონ ფუტკარაძე	29 408	49.6

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ და კომისიის მდივანმა, სოფიო კახაძემ ხელი მოაწერეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

(მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმი თან ერთვის)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	9;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 76[1]-ე მუხლის მე-7 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტური გაიმართოს 2020 წლის 21 ნოემბერს №28 და №30 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების გამოყენების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების გამოყენების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების გამოყენების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

მიღებულია განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნების მეორე ტურში გამოიყენება ის საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები რაც დადგენილი იყო საქართველოს პარლამენტისა და უმაღლესი საბჭოს არჩევნების პირველ ტურში, თუ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობასთან არსებული ხმაურისა და დაძაბული მდგომარეობის გამო უსკოს თავმჯდომარემ 12:35 სთ-ზე სხდომაზე შესვენება გამოაცხადა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომა განახლდა 12:45 სთ-ზე.

5. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის ბიულეტენების ტექსტების დადგენის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის მაჟორიტარული ბიულეტენების ტექსტები თანდართული ნიმუშების შესაბამისად, შემდეგი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებისათვის:

ა) №28 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი;
ბ) №30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

6. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესის დაკვირვების უფლება აქვთ უსკოს განკარგულებით დანიშნულ კომისიის წევრებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის უსკოს მიერ რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებს. სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიმართა ხომ არ აქვთ სურვილი ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დაკვირვების.

ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“-ს წარმომადგენელმა (ხელმძღვანელი) რამინ შავაძემ გამოთქვა სურვილი ბიულეტენების და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესზე დაკვირვების შესახებ, რამინ შავაძემ განაცხადა, რომ თვითონ დაესწრებოდა დამკვირვებლის სტატუსით ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესს.

სხდომაზე მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ბიულეტენის და შემაჯამებელი ოქმების ბეჭდვის პროცესს კომისიის წევრებიდან დააკვირდებიან უსკოს წევრები: მარიამ გუგუნავა და რამაზ ფირცხალაიშვილი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 9;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 63-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-60 მუხლისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის საარჩევნო ბიულეტენებისა და შემაჯამებელი ოქმების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებლებად დაინიშნონ:

ა) მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;
ბ) რამაზ ფირცხალაიშვილი - უსკოს წევრი;
გ) რამინ შავაძე - სადამკვირვებლო ორგანიზაცია ა.(ა).ი.პ. „რეგიონალური კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი“

2. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, დაევალოს უსკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას ამ განკარგულების მიღებიდან 2 დღის ვადაში გამოაქვეყნოს მონაცემები საარჩევნო

ბიულეტენების ბეჭდვის ადგილისა და ბიულეტენების დაბეჭდვაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**